

## შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ა

საქართველოს მთავრობას, შპს „ხვამლსა“ და სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“ შორის 2015 წლის 1 აპრილს „ჯონოული 2“ ჰიდროელექტროსადგურის პროექტის განხორციელების შესახებ დადებულ ურთიერთგაგების მემორანდუმში ცვლილებების შეტანისა და „ჯონოული 3“ ჰიდროელექტროსადგურის პროექტის განხორციელების შესახებ დადებული ურთიერთგაგების მემორანდუმის გაუქმების თაობაზე

ქ. თბილისი

12 ივლისი, 2016 წ.

წინამდებარე შეთანხმება (შემდგომში „შეთანხმება“) დადებულია შემდეგ მხარეებს შორის:

საქართველოს მთავრობა (შემდგომში წოდებული, როგორც „მთავრობა“), წარმოდგენილი საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის, კახა კალაძის მიერ,

შპს „ხვამლი“ (შემდგომში წოდებული, როგორც „კომპანია“), ს/კ: 405043297, წარმოდგენილი დირექტორის, ნიკოლოზ ჩაჩხიანის მიერ,

შპს „ჯონოული 2“ (შემდგომში წოდებული, როგორც „საპროექტო კომპანია“), ს/კ: 442570638, წარმოდგენილი დირექტორის, ზურაბ სამსონიძის მიერ,

სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“ (შემდგომში წოდებული, როგორც „ესკო“), ს/კ: 205170036, წარმოდგენილი გენერალური დირექტორის, ვახტანგ ამბოკაძის მიერ

(ერთად წოდებული, როგორც „მხარეები“ და ცალ-ცალკე, როგორც - „მხარე“).

ვინაიდან, მხარეებს შორის 2015 წლის 1 აპრილს დაიდო ურთიერთგაგების მემორანდუმები „ჯონოული 2“ და „ჯონოული 3“ ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის შესწავლის, მშენებლობის, ფლობისა და ოპერირების თაობაზე;

ვინაიდან, კომპანიამ მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის წინარე კვლევისა და მემორანდუმების შესაბამისად განხორციელებული სხვა ღონისძიებების საფუძველზე, მიმართა საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს ახალი წინადადებით, რომელიც ითვალისწინებს მდინარე ჯონოულზე, „ჯონოული 2“ და „ჯონოული 3“ ჰიდროელექტროსადგურების ნაცვლად, „ჯონოული 2“ (დღეღამური რეგულირების წყალსაცავის მქონე) ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობას გაზრდილი ტექნიკური პარამეტრებით;

ვინაიდან, კომპანიის მიერ მემორანდუმის შესაბამისად განხორციელებული კვლევებისა და საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს შესაბამისი დასკვნის საფუძველზე, დასტურდება, რომ კომპანიის მიერ წარდგენილი წინადადების განხორციელება ხელს

შეუწყობს მდ. ჯონოულის ენერგეტიკული პოტენციალის უფრო ეფექტურად ათვისებასა და გააუმჯობესებს ჰიდროელექტროსადგურების საერთო ტექნიკურ პარამეტრებს;

ვინაიდან, „ჯონოული 2“ და „ჯონოული 3“ ჰიდროელექტროსადგურების გაერთიანების შედეგად გაზრდილი ტექნიკური პარამეტრების მქონე „ჯონოული 2“ ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის ძირითადი საკითხები საჭიროებს დამატებით შესწავლას;

აქედან გამომდინარე, მხარეები თანხმდებიან შემდეგზე:

1. გაუქმდეს მხარეებს შორის 2015 წლის 1 აპრილს „ჯონოული 3“ ჰიდროელექტროსადგურის პროექტის განხორციელების თაობაზე დადებული ურთიერთგაგების მემორანდუმი.
2. მხარეებს შორის 2015 წლის 1 აპრილს „ჯონოული 2“ ჰიდროელექტროსადგურის პროექტის განხორციელების თაობაზე დადებულ ურთიერთგაგების მემორანდუმში (შემდგომში „მემორანდუმი“) შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილებები:

2.1. შეიცვალოს მემორანდუმის მე-6 მუხლი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. კომპანიის მიერ წინადადების წარდგენიდან არაუგვიანეს 4 თვის ვადაში მთავრობამ უნდა განიხილოს და მიიღოს გადაწყვეტილება ელექტროსადგურის მშენებლობასთან დაკავშირებით და დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, მხარეებმა ხელი უნდა მოაწერონ ხელშეკრულებას. მთავრობის გადაწყვეტილება უნდა ეყრდნობოდეს მხოლოდ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის ან/და საჯარო განხილვების შედეგებს.“

2.2. შეიცვალოს მემორანდუმის მე-7 მუხლის 7.1 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7.1. წინასამშენებლო ფაზის ფარგლებში კომპანიის ვალდებულებების, მათ შორის, ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის კვლევისა და გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის, შესრულების უზრუნველყოფის მიზნით, კომპანიამ მთავრობის სასარგებლოდ წარადგინა წინასამშენებლო საბანკო გარანტია 160,000.00 (ასსამოცი ათასი) აშშ დოლარის ოდენობით. კომპანიის მიერ წარდგენილი წინასამშენებლო გარანტიის მოქმედების ვადა სამშენებლო ფაზის დაწყების თარიღს უნდა აღემატებოდეს 2 თვით. ამასთან, წინასამშენებლო გარანტია გაცემული უნდა იყოს „ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD)“ წევრ ნებისმიერ ქვეყანაში ან/და საქართველოში ლიცენზირებული ბანკის მიერ. წინასამშენებლო გარანტიის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს გარანტიის გამცემი ბანკის სააქციო კაპიტალის 15 პროცენტს.“

2.3. შეიცვალოს მემორანდუმის მე-14 მუხლის 14.4 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„14.4. მთავრობის მიერ მემორანდუმის მე-6 მუხლის შესაბამისად დადებითი გადაწყვეტილების მიღების მიუხედავად, ხელი არ მოეწერა ხელშეკრულებას.“

2.4. შეიცვალოს მემორანდუმის მე-17 მუხლის 17.4 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„17.4. წინამდებარე მემორანდუმის მე-16 მუხლის საფუძველზე მემორანდუმის შეწყვეტის შემთხვევაში, კომპანია უფლებამოსილია მოითხოვოს და სრულად მიიღოს მთავრობისგან აუდიტირებული და დოკუმენტირებული საინვესტიციო ხარჯი, გარდა მემორანდუმის 16.2 ან/და 16.3 პუნქტების საფუძველზე მემორანდუმის შეწყვეტის შემთხვევებისა.“

2.5. მემორანდუმს დაემატოს 12<sup>1</sup> მუხლი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„12<sup>1</sup>. პროექტის განხორციელების მიზნით, წინამდებარე მემორანდუმისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად:

„12<sup>1</sup>.1. საპროექტო კომპანია კისრულობს, უშუალოდ, სრულად და ჯეროვნად შეასრულოს კომპანიის მიერ ამ მემორანდუმით ნაკისრი ვალდებულებები, როგორც სოლიდარულმა მოვალემ, ხოლო მთავრობა უფლებამოსილია, საკუთარი შეხედულებისამებრ, შესრულება მოსთხოვოს როგორც კომპანიას, ასევე, საპროექტო კომპანიას, როგორც მთლიანად, ასევე, ნაწილობრივ.

12<sup>1</sup>.2. კომპანია თავისუფლდება მემორანდუმით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მოვალეობისაგან მხოლოდ მემორანდუმით გათვალისწინებული პირობებისა და ვადების სრული დაცვით ელექტროსადგურის ექსპლუატაციაში მიღების შემდეგ.

12<sup>1</sup>.3. მემორანდუმის ამ მუხლის მიზნებისათვის, მემორანდუმით გათვალისწინებული სიტყვა/ტერმინი „კომპანია“ ყოველ ჯერზე გულისხმობს როგორც კომპანიას, ასევე, საპროექტო კომპანიას, გარდა მემორანდუმის 12<sup>1</sup> მუხლისა.“

2.6. შეიცვალოს მემორანდუმის დანართი №1-ით განსაზღვრული ჰიდროელექტროსადგურის ტექნიკური პარამეტრები და ჩამოყალიბდეს წინამდებარე შეთანხმებაზე თანდართული დანართი №1-ის სახით.

2.7. შეიცვალოს მემორანდუმის დანართი №2-ით განსაზღვრული გრაფიკი და ჩამოყალიბდეს წინამდებარე შეთანხმებაზე თანდართული დანართი №2-ის სახით.

2.8. შეიცვალოს მემორანდუმის დანართი №3-ით განსაზღვრული წინასამშენებლო ფაზის ვადა და ჩამოყალიბდეს წინამდებარე შეთანხმებაზე თანდართული დანართი №3-ის სახით.

3. წინასამშენებლო ფაზის განმავლობაში ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით, წინამდებარე შეთანხმების ხელმოწერიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში კომპანია/საპროექტო კომპანია ვალდებულია საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტროს წარუდგინოს საქართველოს მთავრობის სასარგებლოდ გაცემული გარანტია 160,000.00 (ას სამოცი ათასი) აშშ დოლარის ოდენობით. კომპანიის/საპროექტო კომპანიის მიერ წარდგენილი წინასამშენებლო გარანტიის მოქმედების ვადა სამშენებლო ფაზის დაწყების თარიღს 2 (ორი) თვით უნდა აღემატებოდეს. ამასთან, წინასამშენებლო გარანტია გაცემული უნდა იყოს „ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD)“ წევრ ნებისმიერ ქვეყანაში ან/და საქართველოში ლიცენზირებული ბანკის მიერ. წინასამშენებლო გარანტიის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს გარანტიის გამცემი ბანკის სააქციო კაპიტალის 15 (თხუთმეტი) პროცენტს.

4. კომპანიის/საპროექტო კომპანიის მიერ წინამდებარე შეთანხმების მე-3 მუხლის შესაბამისად მთავრობის სასარგებლოდ გარანტიის წარდგენის შემთხვევაში, მთავრობა კისრულობს ვალდებულებას, კომპანიას დაუბრუნოს „ჯონოული 2“ და „ჯონოული 3“ პროექტების განხორციელების თაობაზე დადებული მემორანდუმების ფარგლებში მთავრობის სასარგებლოდ წარდგენილი წინასამშენებლო გარანტიები 33,000.00 (ოცდაცამეტი ათასი) და 65,000.00 (სამოცდახუთი ათასი) აშშ დოლარის ოდენობით.
5. მხარეები აცნობიერებენ, რომ წინამდებარე შეთანხმება იდება კომპანიის მიერ საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტროსთვის წარდგენილი წინადადების საფუძველზე, მისი განხორციელების მიზნით და ადასტურებენ, რომ „ჯონოული 3“ ჰიდროელექტროსადგურის პროექტის განხორციელების თაობაზე მათ შორის 2015 წლის 1 აპრილს დადებული ურთიერთგაგების მემორანდუმის წინამდებარე შეთანხმების შესაბამისად შეწყვეტის შემთხვევაში, კომპანიას/საპროექტო კომპანიას არ აქვს და არ ექნება სხვა მხარეებისთვის მემორანდუმიდან გამომდინარე რაიმე სახის მოთხოვნის ან/და პასუხისმგებლობის დაკისრების უფლება.
6. კომპანიის მიერ წინამდებარე შეთანხმების მე-3 მუხლის შესაბამისად (განსაზღვრულ ვადაში ან/და ოდენობით) მთავრობის სასარგებლოდ გარანტიის წარუდგენლობა მიიჩნევა კომპანიის/საპროექტო კომპანიის მიერ წინამდებარე შეთანხმებისა და „ჯონოული 2“ და „ჯონოული 3“ პროექტების განხორციელების თაობაზე დადებული მემორანდუმების არსებითი პირობების დარღვევად და ასეთ შემთხვევაში ზემოაღნიშნული მემორანდუმები შეწყდება დაუყოვნებლივ, მთავრობის მიერ კომპანიისთვის ცალმხრივად გაგზავნილი შეტყობინების საფუძველზე. ამასთან, ასეთ შემთხვევაში მთავრობა უფლებამოსილია აღნიშნული მემორანდუმების ფარგლებში კომპანიის მიერ მთავრობის სასარგებლოდ წარდგენილი წინასამშენებლო გარანტიებით გათვალისწინებული თანხა გამოითხოვოს სრულად.
7. წინამდებარე შეთანხმების ხელმოწერის მომენტიდან „ჯონოული 2“ და „ჯონოული 3“ პროექტების განხორციელების თაობაზე დადებული მემორანდუმების ფარგლებში ამ მომენტისათვის კომპანიის ხელთ არსებულ ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის კვლევისა და პროექტთან დაკავშირებულ ნებისმიერ დოკუმენტსა და ნახაზზე (მათ შორის, კომპანიის მიერ შემუშავებულ დოკუმენტებზე) ექსკლუზიური საკუთრების უფლება უსასყიდლოდ გადაეცემა მთავრობას.
8. წინამდებარე შეთანხმება, გარდა მისი პირველი, მეორე, მეოთხე, მეხუთე, მეცხრე და მეთექვსმეტე მუხლებისა, ძალაში შედის მხარეთა მიერ შეთანხმების ხელმოწერის მომენტიდან, ხოლო შეთანხმების პირველი, მე-2, მე-4, მე-5, მე-9 და მე-10 მუხლები ძალაში შედის კომპანიის/საპროექტო კომპანიის მიერ წინამდებარე შეთანხმების მე-3 მუხლის შესაბამისად მთავრობის სასარგებლოდ გარანტიის წარდგენის მომენტიდან.
9. მემორანდუმის სხვა მუხლები, დებულებები და დანართები რჩება უცვლელი.
10. წინამდებარე შეთანხმება წარმოადგენს მემორანდუმის განუყოფელ ნაწილს და ძალაშია მასთან ერთად. იგი შედგენილია ქართულ ენაზე ოთხ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად.
11. წინამდებარე შეთანხმება რეგულირდება და განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

12. წინამდებარე შეთანხმებიდან ან/და მასთან კავშირში წარმოშობილი ნებისმიერი დავა, რომელიც მხარეებს შორის ვერ მოგვარდება მოლაპარაკების გზით, გადაწყდება საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

### ხელმოწერები

საქართველოს მთავრობა

კახა კალაძე

შპს „ხვაშლი“

ნიკოლოზ ჩაჩხიანი

შპს „ჯონოული 2“

ზურაბ სამსონიძე

სს „ელექტრონული სისტემის კომერციული ოპერატორი“

ვახტანგ ამბოკაძე

დანართი N1

დასახელება	ადგილმდებარეობა	მდინარის ნიშნულები მეტრი ზღვის დონიდან		წლიური გამომუშავება	სიმძლავრე
ჯონოული 2 ჰესი	რაჭა-ლეჩუმის რეგიონი, მდინარე ჯონოული	950	430	129,2 მლნ. კვტ. სთ.	32 მგვტ.

დანართი N2

ჯონოული 2 ჰესი	თარიღები			
	2015 წლის 1 აგვისტო	2015 წლის 1 ნოემბერი	2016 წლის 1 ივლისი	2016 წლის 1 სექტემბერი
ადგილმდებარეობისა და ძირითადი პარამეტრების განმარტებები	X	X	X	
ტოპოგრაფიული კვლევა და რუკების მომზადება	X	X	X	
გეოლოგია, გეოფიზიკა	X	X	X	
სეისმური რისკის ანალიზი	X	X	X	
სამშენებლო მასალების კვლევა	X	X	X	
მეტეოროლოგიური და ჰიდროლოგიური კვლევები			X	
ჰიდრაულიკური კვლევები			X	
ალტერნატიული ანალიზი			X	
ტექნიკური დიზაინი			X	
ინფრასტრუქტურა			X	
ელექტროენერჯის გენერაცია და გამოყენება			X	
ქსელთან მიერთება და გადამცემი ხაზი				X
ეკოლოგია				X
სამუშაოების მოცულობის უწყისი				X
მშენებლობის ორგანიზირება				X
ეკონომიკური ანალიზი				X
ფინანსური ანალიზი				X
შესყიდვების დაგეგმვა და განხორციელების გეგმა				X
სამუშაო ძალის დატრენინგების გრაფიკი				X
ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის კვლევის წარდგენა				X
გარემოზე ზემოქმედების და სოციალური რისკების შეფასების ანგარიშის მომზადება და წარდგენა				X
საჯარო განხილვის ჩატარება და შედეგების წარდგენა				X
პროექტის განხორციელებისათვის საჭირო მიწის ნაკვეთების ადგილმდებარეობის დადგენა და განსაზღვრა				X
პროექტის განხორციელების თაობაზე მთავრობისათვის წინადადების წარდგენა				X

დანართი N3

წინასამშენებლო ფაზა		სამშენებლო ფაზა		
დასაწყისი	დასასრული	დასაწყისი	დასასრული	
მემორანდუმის ხელმოწერის თარიღი	ხელშეკრულების ხელმოწერის თარიღი	ხელშეკრულების ხელმოწერის თარიღი	მშენებლობის ნებართვის საფუძველზე მშენებლობის დაწყების თარიღი - 6 თვე ხელშეკრულების ხელმოწერიდან	ექსპლუატაციაში მიღება
2017 წლის 1 იანვარი		30 თვე ხელშეკრულების ხელმოწერიდან		



## საქართველოს მთავრობის განკარგულება

№1048 2016 წლის 9 ივნისი ქ. თბილისი

საქართველოს მთავრობას, შპს „ხვამლსა“ და სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“ შორის 2015 წლის 1 აპრილს „ჯონოული 2“ ჰიდროელექტროსადგურის პროექტის განხორციელების შესახებ დადებულ ურთიერთგაგების მემორანდუმში ცვლილებების შეტანისა და „ჯონოული 3“ ჰიდროელექტროსადგურის პროექტის განხორციელების შესახებ დადებული ურთიერთგაგების მემორანდუმის გაუქმების თაობაზე

1. მოწონებულ იქნეს საქართველოს მთავრობას, შპს „ხვამლსა“ და სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“ შორის 2015 წლის 1 აპრილს „ჯონოული 2“ ჰიდროელექტროსადგურის პროექტის განხორციელების შესახებ დადებულ ურთიერთგაგების მემორანდუმში ცვლილებების შეტანისა და „ჯონოული 3“ ჰიდროელექტროსადგურის პროექტის განხორციელების შესახებ დადებული ურთიერთგაგების მემორანდუმის გაუქმების თაობაზე შეთანხმების პროექტი.

2. ამ განკარგულების პირველ პუნქტში მითითებული შეთანხმების საფუძველზე, ცნობად იქნეს მიღებული საქართველოს მთავრობას, შპს „ხვამლსა“ და სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ


ოპერატორს“ შორის 2015 წლის 1 აპრილს „ჯონოული 3“ ჰიდროელექტროსადგურის პროექტის განხორციელების შესახებ დადებული ურთიერთგაგების მემორანდუმის გაუქმების შესახებ.

3. შპს „ხვამლის“ ან/და შპს „ჯონოული 2“-ის მიერ, ამ განკარგულების პირველ პუნქტში მითითებული შეთანხმების შესაბამისად, სამშენებლო საბანკო გარანტიის წარმოდგენის შემთხვევაში, საქართველოს მთავრობამ უზრუნველყოს, შპს „ხვამლის“ მიერ „ჯონოული 2“ და „ჯონოული 3“ პროექტების განხორციელების თაობაზე დადებული მემორანდუმების ფარგლებში, საქართველოს მთავრობის სასარგებლოდ წარდგენილი წინასამშენებლო გარანტიების (33,000.00 (ოცდაცამეტი ათასი) და 65,000.00 (სამოცდახუთი ათასი) აშშ დოლარის ოდენობით) დაბრუნება.

4. „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის შესაბამისად, ამ განკარგულების პირველ პუნქტში მითითებულ შეთანხმებას, საქართველოს მთავრობის სახელით, ხელი მოაწეროს საქართველოს ენერჯეტიკის მინისტრმა კახა კალაძემ.

5. ამ განკარგულების მე-3 პუნქტში მითითებული წინასამშენებლო საბანკო გარანტიების დაბრუნების თაობაზე გარანტიის გამცემ ბანკში წარსადგენ შესაბამის წერილებზე, საქართველოს მთავრობის სახელით, ხელმოწერის უფლებამოსილება მიენიჭოს საქართველოს ენერჯეტიკის მინისტრს კახა კალაძეს.

პრემიერ-მინისტრი



გიორგი კვიციანიძე



# საქართველოს იუსტიციის სამინისტრო MINISTRY OF JUSTICE OF GEORGIA



KA010196380194916

საქართველო, ქ. თბილისი, 0114, ვაჟა-ფშაველას ქ. 24 ა. ტელ: 2 40 31 48, 2 40 34 36; ელ.ფოსტა: info@justice.gov.ge  
24 a, Vazha-Pshavela str., 0114, Tbilisi, Tel: 2 40 31 48, 2 40 34 36, E-MAIL: info@justice.gov.ge

№3255

19 / მაისი / 2016 წ.

3057

საქართველოს ენერჯეტიკის  
მინისტრის მოადგილე,  
ბატონ ირაკლი ხალაშვილი

ბატონო ირაკლი,

საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ განიხილა დეველპმენტის 2016 წლის 11 მაისის №04/1798 წერილით წარმოდგენილი საქართველოს მთავრობას სს „ელექტროენერჯეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“, შპს „ხეობისა“ და შპს „კონსოლი 2“-ს შორის დასადები ცვლილებების შეთანხმების პროექტი, რომელთან დაკავშირებით გაეცნობებოთ შემდეგს:

1. ცვლილების შეთანხმების პროექტის 2.5 მუხლით გამსაზღვრული უპრიორიტეტების შეთანხმების ახალი 12<sup>1</sup> მუხლის მიმდევრობის გათვალისწინებით აღნიშნული პუნქტი უნდა უთითებდეს შემორჩენილი ყველა სხვა დანარჩენ დებულებაზე. ვარდა მე-12<sup>1</sup> მუხლისა, რამდენადაც ზემოაღნიშნული მითითება თავად მე-12<sup>1</sup> მუხლის შინაარსიდან გამომდინარეობს.

2. ცვლილების შეთანხმების პროექტს, ასევე, აქვს ტექნიკური ხასიათის ხარვეზი, კერძოდ, განახლებულ დანართ №3-ში წინასამშენებლო ფაზის დასრულების თარიღად, ნაცვლად 2016 წლის 1 იანვრისა, უნდა განისაზღვროს 2017 წლის 1 იანვარი.

პატივისცემით,

მ. ლორთქიფანიძე

მინისტრის მოადგილე

გიანა ლორთქიფანიძე



ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორი  
Electricity Market Operator

საქართველო, თბილისი, 0114 პარაშაივილის ქ. 2  
ტელეფონი: 2401420; ფაქსი: 2601915

2 Baratashvili Str., 0114 Tbilisi, Georgia  
Phone: +995 32 2401420; Fax: +995 32 2601915

N 01/595  
16/05/2016

595-01-2-201605161551



საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის  
მოადგილეს ბატონ ირაკლი ხმალადეს

ბატონო ირაკლი,

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს 2016 წლის 11 მაისის #04/1797 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ ბაზრის ოპერატორმა განიხილა საქართველოს მთავრობას, სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“, შპს „ხვამლოს“ და შპს „ჯონოული 2“-ს შორის დასადები შეთანხმების პროექტი, რომელთან დაკავშირებითაც შენიშვნები არ გაგვაჩნია.

პატივისცემით,

ვახტანგ ამბოკაძე

გენერალური დირექტორი

OFFICE@ESCO.GE • WWW.ESCO.GE

სს "ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი"  
რეგისტრირებულია ქ. თბილისის საკანონმდებლო ასამბლეის მიერ 07.08.2006; საიდ. კოდი 205170036

ELECTRICITY SYSTEM COMMERCIAL OPERATOR JSC  
Registered by Tbilisi Tax Inspectorate on 07.08.2006; ID CODE 205170036